

ვახტანგ მალრაძე

ჩა- და ჩამო- ზმნისწინთა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში აშკარად შეინიშნება **ჩა-** ზმნისწინის გააქტიურების ტენდენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პრევერბი დღეს უკვე გვხვდება ისეთ ფუძეებთან, რომლებთანაც მანამდე ნაკლებად ან საერთოდ არ დასტურდებოდა, მაგ., **ჩაღეჭავს, ჩაუყარაულდება, ჩაიბოღმება, ჩაილოგინებს** და სხვ.

ვფიქრობთ, აღნიშნული ტიპის შემთხვევები მწერლურ ნეოლოგიზმებს წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ხშირად დასახელებული ტიპის ფორმები გვხვდება ჟურნალისტთა ზეპირი თუ წერიტი მეტყველებისას, რაც, ვფიქრობთ, მიუღებელია სტილური თვალსაზრისით – განსაკუთრებით საინფორმაციო გადაცემების დროს.

გასაგები და მისაღებია, როცა მწერალი ამბობს: „მან სენდვიჩი ჩაკბიჩა, ნებიერად **ჩაღეჭა**“ [სახვაძე 2013: 30]; ან კიდევ: „...მკვლელმა კარგად შეისწავლა თითოეული მსხვერპლის გადაადგილების გრაფიკი, **ჩაუყარაულდა**, სიცოცხლეს გამოასალმა“ („სარკე“, N 29, 2007: 83); „მე თვითონ **ჩავეცხოვრე** სახლში და ახლა ვუტევ“ [ბონი 2014: 66] და სხვ., მაგრამ სტილებრივად გაუმართლებელი ჩანს, როცა ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში (თუნდაც – ამა თუ იმ სანახაობრივ-გასართობ გადაცემაში) აცხადებს: „პოლიცია ეჭვმიტანილებს **ჩაუყარაულდა**“; „მობინადრეებმა ლტოლვილები გარკვეული ვადით **ჩაივცხოვრეს**“; „ვირუსმა ბევრი მოქალაქე **ჩაალოგინა**“ და სხვ.

დასახელებული ტიპის შემთხვევებში **ჩა-** ზმნისწინიანი ფორმები საუბრული მეტყველების შთაბეჭდილებას ტოვებს, უფრო მეტიც – ზოგჯერ გარკვეული ტიპის ჟარგონსაც კი ჩამოჰგავს, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მწერლის ენაში ეს ბუნებრივი მოვლენაა (და ძალიან საინტერესოც).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად ავტორი ამგვარ წარმოებას სწორედ იმიტომ მიმართავს, რომ გამოკვეთოს ამა თუ იმ

პერსონაჟის სახე მისივე მეტყველების საშუალებით.

ჩა- ზმნისწინი, ბუნებრივია, გააქტიურდა შესაბამის მასდა-რებსა და მიმღეობებშიც: **ჩალოგინებული, ჩაცხოვრებული, ჩაბოლ-მილი...; ჩაკრიტიკება, ჩაგაზაფხულება:** „**ჩაბოლმილი** კაცი კი არ ვარ, გული მტკივა...“ („სარკე“, N 44, 2012, 29); „ჩემი შვილები მიხედულე-ბიც არიან და **ჩალოგინებულებიც** [ბურჭულაძე 2011: 57]; „იქ არაფე-რი შევიმჩნიე, მაგრამ მისი **ჩასიკვდილება** მინდოდა“ [ბონი 2016: 27] და ა. შ.

როცა პოეტი წერს, **ჩაგაზაფხულებულიაო**, ეს ფორმა, რასაკ-ვირველია, გარკვეულ ემოციას აღუძრავს მკითხველს, მაგრამ – ვიძე-ორებთ, მწერლური ოკაზიონალიზმები არ შეეფერება ჟურნალისტ-თა წერით თუ ზეპირ მეტყველებას.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: ზოგი **ჩა-** ზმნისწინიანი მი-მღეობა ერთგვარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმადაც კი იქცა თანამედ-როვე მეტყველებაში, მაგ., **ჩანიშნულია სხდომა = ნავარაუდევია, და-გეგმილია**, ხოლო როცა ვამბობთ – **დანიშნულია სხდომა**, ეს გულის-ხმობს, რომ სხდომის დრო უკვე განსაზღვრულია, გადაწყვეტილია.

აღსანიშნავია ერთი გარემოება **ჩამო-** ზმნისწინთან დაკავში-რებითაც – თანამედროვე ქართულში ძალიან ხშირად ისმის (და იწე-რება კიდევ): **ჩამოვყალიბდეთ, ჩამოვყალიბდებით, ჩამოყალიბდით** და ა. შ. **ჩამო-** პრევერბი დასახელებულ ზმნაში სავსებით ბუნებრი-ვია, თუ ვამბობთ: **ჩამოვყალიბდეთ** კარგ სპორტსმენებად/მსახიობე-ბად და სხვ., მაგრამ როცა **აზრის ჩამოყალიბებაზეა** საუბარი, მაშინ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **ჩამოვყალიბოთ აზრი** ანა თუ იმ საკითხ-თან დაკავშირებით (და არა: ჩამოვყალიბდეთ).

ლიტერატურა

ბურჭულაძე - მ. ბურჭულაძე, „რას იტყვის ხალხი!“, ჟურნ. „სარკე“, N 33, 2011.

ბონი - თ. ბონი, „ოცნების ძიებაში“, ჟურნ. „სარკე“, N 9, 2014, N 13, 2016.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, 2016, თბილისი.

„სარკე“ – ჟურნ. „სარკე“, N 29, 2007; NN 21, 30, 31, 2012; N 44, 2012; N 47, 2016.

სახვამე – მ. სახვამე, თარგმანი, ჯეკ რისი, თარგმანი, „სიკვდილის დრო“, გაზ. „ქრონიკა“, N 23, 2013.

Vakhtang Maghradze

On Using the Preverbs *ča* and *čamo* in Modern Georgian

Summary

In modern Georgian there is an apparent tendency of an active use of the preverb *ča* which means that now this preverb is used with the bases it was not used with before, e.g. *čaicxovra*, *čailogina*, *čaiboyma*, etc. It actually is a literary neologism. The same can be said about using the word forms having the preverb *čamo* (*čamovqalibdet*) with the meaning of making a decision that is a mistake. We should say *čamovaqalibot azri ama tu im saqitxtan daqavširebit* and not *čamovqalibdet*. However, the phrases like *čamovqalibdet sportsmenebad / msaxiobebad* is correct.